ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5723470

ნომერი: AR1865669

თარიღი : 03.12.2021

გაცემის თარიღი : 13.12.2021

გაცნობის თარიღი : 13.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჰალილ სემიზი პ/ნ 01097000182
- თბილისი კ.სტანისლავსკის ქ. N 5 ბ. 25

ორგანიზაცია:

- შპს ბმბ მათარაჯი ტრანს ჯორჯია კოდი: 401975449

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 33-ე მუხლის, 2-ე პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის, ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში, გრუნტის ზედაპირიდან 2,7 მ-მდე სიმაღლეზე:არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი შეჭრა 0.3 მ-ზე მეტად. ამავე მუხლის 5-ე ფუნქტის თანახმად, შენობაზე მიმაგრებული ნიშნები და აბრები შესაძლებელია იყოს შეჭრილი საზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-ზე მაღლა სიმაღლეზე, მაგრამ ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან პერპენდიკულარული მანძილი ამ ნიშნებამდე და აბრებამდე უნდა იყოს მინიმუმ 1,2 მ.
ამასთან რეკლამის შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, რეკლამა-აბრაზე და სხვა საჯარო ინფორმირებისთვის განკუთვნილი წარწერები უნდა შესრულდეს სახელმწიფო ენაზე. ასევე, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე“. ტრანსლიტერაცია ნიშნავს ერთი ენის ბგერითი სისტემის მეორე ენის ბგერითი სისტემით გადმოცემას. წარწერის უშუალოდ ქართული სიტყვებით დაწერა თუ ტრანსლიტირებული ფორმით გადმოცემა ნიშნავს, რომ ის უნდა შესრულდეს სახელმწიფო ენის ნორმების შესაბამისად. სახელობითი ბრუნვის ნიშანი არის ქართული ენის ნორმა (წესი), რომელიც დაცული უნდა იყოს ყველა შემთხვევაში.
(თქვენს შემთხვევაში უნდა დაფიქსირდეს ჰოუმი)
აღნიშნულის გათვალისწინებით ასახეთ გაბარიტული ზომები, როგორც გრუნტის ზედაპირიდან, მიმაგრებული სარეკლამო აბრის ქვედა ნისნულამდე, და ასევე ტროტუარის სიგანის
საჭიროა წარმოდგენილ იქნას, საჯარო რეესტრში სარგებლობის საფუძვლად რეგისტრირებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები სრულად და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ ითვალისიწნებს მესაკუთრის წინასწარ თანხმობას მიმდინარე განცხადებით მოთხოვნილ სამუშაოებთან დაკავშირებით, დამატებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას მესაკუთრის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული თანხმობა.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველ

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.